ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:ო63. 63263013
თარიღი:28/10/2026

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის გასვლითი სხდომის

ო ქ მ ი N16

19 ოქტომბერი. 2026 წელი.

13 საათი.

მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ჯონი თევზაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, პაატა კოხრეიძე, ტარიელ დვალიშვილი,მაია ტალაბაძე, ლაშა მუქერია, მარიამ ცომაია, ქიშვარდი ღაღანიძე,მერაბ თევზაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. მერის წარმომადგენელი გომის ადმინისტრაციულ ერთეულში - ზაზა ნიკოლეიშვილი.

2. სოფელ მთისძირის ქუჩის მცხოვრებნი - მანანა თევზაძე, ბესარიონ ნიკურაძე, გოჩა თევზაძე, ფოთოლა შუბითიძე, მზექალა თევზაძე,ლალი ბუბუტეიშვილი...

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მთისძირში მდებარე მინი საფეხბურთო მოედნისათვის სევერიანე თევზაძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10 ხმით) კენჭი

უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წევრთა (10 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, სოფელ მთისძირის მცხოვრებლებს მოახსენა, რომ მათ მიერ შემოტანილი განცხადება, სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ განიხილა.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ შემოტანილი განცხადება, სადაც ითხოვთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მთისძირში მდებარე მინი საფეხბურთო მოედნისთვის სევერიანე თევზაძის სახელის მინიჭებას.

მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის ყველა წევრი მხარს უჭერს ერთხმად ზემოაღნიშნულ საკითხს.

ყოველი გადაწყვეტილება, სახელდებასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს მოსახლეობასთან კონსულტაციას. შესაბამისად, ჩვენმა კომისიამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა გასვლითი სხდომა და მოსახლეობისთვის ეკითხა აზრი.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა და სოფელი მთისძირის მე-7 და მე-8 ქუჩების მცხოვრებლებმა.

ბესარიონ ნიკურაძე - დიდებული პიროვნება იყო სევერიანე თევზაძე და ვფიქრობ რომ მისი სახელის უკვდავსაყოფად დიდი საქმე გაკეთდება.

ჯონი თევზაძე - როგორც მოსახლეობასთან კონსულტაციით ირკვევა, სოფელ მთისძირის მცხოვრებნი ეთანხმებით, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალ სოფელ მთისძირში მდებარე მინი საფეხბურთო მოედანს მიენიჭოს სევერიანე თევზაძის სახელი.

ჩვენ მოვამზადებთ დოკუმენტაციას, სამთავრობო კომისიაში გასაგზავნად.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (10 ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი და მიემართოს სამთავრობო კომისიას.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი